ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ირაკლი ხელაძის

2021 წლის 7 დეკემბრიდან 2022 წლის 1 ნოემბრამდე

გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის N26-113 დადგენილების დანართი N2-ით დამტკიცებული წესის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2021 წლის დეკემბრიდან ვარ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს VII მოწვევის წევრი, ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე , ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი და ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი.

ინფორმაცია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში და კომისიების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ.

2021 წლის დეკემბრიდან დღემდე მონაწილეობა მივიღე ქ.თბილისის საკრებულოს 13 სხდომაში, რომლის დროსაც მიღებული იქნა 113 დადგენილება და 649 განკარგულება. მონაწილეობა მივიღე ასევე საკრებულოს ბიუროს 13 სხდომაში. აღნიშნულ სხდომებზე განხილული და მიღებული გადაწყვეტილებები მოიცავდა ისეთ საკითხებს, რომლებიც განხილული იქნა ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, ასევე სხვა კომისიების სხდომებზეც.

მონაწილეობა მივიღე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის 11 სხდომაში, სადაც განვიხილეთ 39 საკითხი.

მონაწილეობა მივიღე ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს 17 სხდომაში, განვიხილეთ 33 საკითხი.

2021 წლის 7 დეკემბრიდან 2022 წლის 1 ოქტომბრამდე ჩატარდა ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 32 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა კომისიის კომპეტენციაში შემავალი სხვადასხვა საკითხები (საერთო ჯამში 317 საკითი):

ბიუჯეტი

განვიხილეთ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის წლიური და 2022 წლის 3 და 6 თვის ბიუჯეტის შესრულება.

დადგენილების პროექტები:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - 1 პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. 7 პროექტი (მიღებული იქნა 6 დადგენილება).

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის ბიუჯეტი დავიწყეთ 1 305418,2 ათასი ლარით, რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 255 155,7 ათასი ლარით მეტია. წლის განმავლობაში 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 254 448, 4 ლარით და ბოლო ცვლილებების გათვალისწინებით , ბიუჯეტის მოცულობამ შეადგინა 1 559 866, 6 ათას ლარი.

ბიუჯეტში ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პრიორიტეტებზე:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა.
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება.
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება.
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- განათლება
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა.
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.
- ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

მნიშვნელოვანი პროექტები :

- ✓ მუხრან მაჭავარიანისა და მარშალ გელოვანის დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობა
- ✓ ქ.თბილისში მანჯგალაძის ქუჩის რეაბილიტაცია. ქეთევან დედოფლის გამზირის რეაბილიტაცია. კრწანისის ქუჩის რეაბილიტაცია. ჯაბიძის ქუჩის, სააკაძის ქუჩის, იაკობის და გრემის ქუჩების, ფიროსმანის ქუჩის კაპიტალური შეკეთება.
- ✓ ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდური გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები.
- ✓ მთაწმინდის რაიონში, პ.მელიქიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია და ფილარმონიის წინ არსებული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები.
- ✓ ქ. თბილისში მინდელის და მეტეხის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები
- ✓ ქ. თბილისში, ივერთუბნის დასახლების კანალიზაციის ქსელის მიწისქვეშა სატუმბო სადგურის მოწყობის სამუშაოები.
- ✓ M3 კატეგორიის ავტობუსების შეძენა -180 ერთეული 8 მეტრიანი ავტობუსის შეძენა პარკში არსებული მოძველებული ვაგონების განახლება რეაბილიტაცია - მეტროს სათაო და შუა ვაგონების საშუალო შეკეთება, მოდერნიზაციის ელემენტებით.
- ✓ მეტროს სადგურ გოცირიძის და მეტროს სადგურ „ავლაბრის“ პროექტირება და რეკონსტრუქცია, კაპიტალური რემონტი
- ✓ ქ. თბილისის მასშტაბით ახალი (გარე განათება) სანათი წერტილების მოწყობის სამუშაოები
- ✓ ქ. თბილისის მასშტაბით არსებული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები
- ✓ ქალაქ თბილისში, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების მოვლა-პატრონობის (ექსპლუატაციის) მომსახურება
- ✓ ავარიული სახლების ჩანაცვლება.

(ქალაქში მრავლადაა საცხოვრებელი კორპუსები, რომლებსაც ეწურება ექსპლუატაციის ვადა, მათი დიდი ნაწილი ავარიულია და ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოსათვის საჭირო პირობებს. ამ შენობების ნაწილს უკვე მინიჭებული აქვს ავარიულობის სხვადასხვა ხარისხი. ამასთან, ამ შენობებს გააჩნიათ უამრავი პრობლემები, როგორიცაა გაუმართავი ლიფტები, უსახური მიშენებები, მოუწესრუგებელი სადარბაზოები, ეზოები და სხვა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით პროგრამა ითვალისწინებს ძველი შენობების ახლით ჩანაცვლებას, რაშიც იგულისხმება საბჭოთა დროინდელი შენობების თანამედროვე კორპუსებით ეტაპობრივი ჩანაცვლება. პროგრამას დაექვემდებარება ის კორპუსები, რომლებსაც გასული აქვთ ექსპლუატაციის ვადა და მინიჭებული აქვს ავარიულობის ხარისხი. პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი კორპუსიდან დროებით იქნება გაყვანილი

მოსახლეობა და ახალი კორპუსის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მათ იმავე ადგილას გადაეცემათ შესაბამისი ფართი გარემონტებულ მდგომარეობაში).

მსხვილი არეალების რეაბილიტაციის პროგრამა

გუდიაშვილის მოედნის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და ა. თბილელის ქ. N1 , ა. თბილელის ქ. N4, ა. თბილელის ქ. N7, ახოსპირელის ქ. N3/7, ჯიბლაძის ქ. N3, ჯიბლაძის ქ. N5, ა. თბილელის ქ. N2, ა. თბილელის ქ. N6, საიათნოვას ქ. N1-ში მდებარე შენობების კონსტრუქციული ნაწილის გამაგრება-გაძლიერების და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. ახოსპირელის პირველი ჩიხის N2-4- ში, ახოსპირელის მესამე ჩიხის N5/6-ში, ლერომონტოვის N1/9-ში და ლერმონტოვის N3-ში მდებარე შენობების რეაბილიტაცია (გუდიაშვილის სახლები დამატებით)

- ✓ ახალი სკვერების მოწყობა სპორტული მოედნების მოწყობა მ.შ:

31-ე ქარხანასთან სკვერის და სტადიონის მოწყობა, დიდ დიღომში, II და III მიკრო რაიონებს შორის (ს/კ 01.10.08.006.651, 01.10.08.006.641, 01.10.08.006.624), დ.გულიას I ჩიხი N6-ის მიმდებარედ სკვერის და სპორტული მოედნის მოწყობა. ტაბახმელაში (საკადასტრო კოდი 81.02.08.439) სარეკრეაციო სივრცის რეაბილიტაცია; ზღვის უბნის პარკის მოწყობა.

ქ. თბილისში, ვარკეთილის II მ/რ-ში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩისა და რ. ხომლელის ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 01.19.20.007.055; 01.19.20.002.088) არსებული პარკის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.

ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების რეაბილიტაცია.

მ.შ: ფურცელაძის N30-32-34 20-08-78, ორბელიანის ქუჩა N19-23, რომის N4 20-05-47, ერეკლე მეორის N6-7-ის მშენებლობა 20-05-46 მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაცია .

- ✓ ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაცია

სხვადასხვა სოციალური პროგრამები. მ.შ:

- ✓ უსახლკაროებისათვის საცხოვრებელი ფართის შეძენა

(დედაქალაქში დაახლოებით, 400 უსახლკაროს სტატუსის მქონე ოჯახი ცხოვრობს, რომლისთვისაც მუნიციპალიტეტს საცხოვრებელი არ გადაუცია სარგებლობაში. ამის მიზეზია მცირე მუნიციპალური საბინაო ფონდი. პროგრამის მიზანია უსახლკაროს სტატუსის მქონე ოჯახების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი შეიძენს და უსახლკარო ოჯახებს სარგებლობის უფლებით გადასცემს საჭირო საცხოვრებელ ფართებს. ამ მიზნით შეიქმნება საბინაო ფონდი, რაც უსახლკაროებისთვის ღირსეული საცხოვრისის შეთავაზების საშუალებას იძლევა.)

- ✓ ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა და ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღების გამაგრება-რეაბილიტაცია

(ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა ისნის რაიონში, ნავთლუღში, კრწანისის რაიონში, ოქროყანის დასახლებაში , სამგორის რაიონში, ლილოს დასახლებაში და აფრიკის დასახლებაში ჭიჭინაძის ქუჩაზე, N19 საბავშვო ბაგა-ბაღის ავარიული შენობის ადგილას ახლის მშენებლობა)

- ✓ სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა
- ✓ კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა.

აბრეშუმის მუზეუმის რეაბილიტაცია.

ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები, ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები , დიდ დიღომში, სკოლა „ფესვების“ მიმდებარედ მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები. ა(ა)იპ "ფეხბურთის სპორტული ცენტრი იმედის" მზიურის მიმდებარედ არსებული ფეხბურთის მოედნის სამშენებლო სამუშაოები

გარდა ამისა კომისიის მიერ შესწავლილია მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი 43 წერილი -„ქალაქ თბილისის მინიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ასიგნებების კვარტალური ცვლილებების შესახებ“, რომელიც მხოლოდ ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის პრეროგატივაა.

გრანტი

შევისწავლეთ და თანხმობა მივეცით:

- ➢ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისთვის“ შესახებ პროექტის ხელშეკრულებას.

საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისათვის“ ფარგლებში, 2021 წლის 10 დეკემბერს ხელი მოეწერა სასესხო ხელშეკრულებას 101 000 000 ევროს ოდენობით, რომელიც მიზნად ისახავს საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებასა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას საქართველოს მასშტაბით, მ.შ. თბილისშიც. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის ოდენობა მოხმარდება პროექტით იდენტიფიცირებული ქვეპროექტების დაფინანსებას.

სესხის გაცემის მიზნობრიობის საფუძველს წარმოადგენს აზიის განვითარების ბანკის მიერ ჩატარებული კვლევა, რითაც გამოვლინდა დედაქალაქის წინაშე არსებული საჭიროებები, როგორიცაა მტკვრის გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება, დიღმის ჭალების რეაბილიტაცია, პარკების მშენებლობა და სხვა. ერთერთ უმნიშვნელოვანეს ინტერესის სფეროს წარმოადგენს

მეტრო-სადგურების რეაბილიტაციისა და შშმ პირების საჭიროებებთან ადაპტაციის საკითხი. აღებული სესხიდან მხოლოდ 30 მლნ მოზიდული იქნება ქალაქ თბილისისათვის, ამავე დროს სესხის პროცენტი არის საკმაოდ დაბალი და შეღავათიანი პირობებით.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის "თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება - ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის" პროექტის შესახებ საგრანტო ხელშეკრულებას.

საგრანტო ხელშეკრულება თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის აქციონერთა სპეციალური ფონდის მხარდაჭერით გაფორმდება.

საგრანტო ხელშეკრულების მიზანია, თბილისის მუნიციპალიტეტისათვის ახალი სამარშრუტო ქსელის დანერგვისა და რეფორმის სხვა კომპონენტების მიმართულებით ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენა. კერძოდ ქალაქში ავტობუსების მომსახურების რეფორმების განხორციელება, რაც ავტობუსების მარშრუტების რესტრუქტურიზაციას და გაფართოებას, სატარიფო სისტემის რეფორმას,მგზავრობის საფასურის გადახდის ინტეგრირებული ავტომატური სისტემის დანერგვას მოიცავს.

ხელშეკრულების თანახმად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი თბილისის მუნიციპალიტეტს საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვისათვის 240 000 ევრომდე გრანტს გამოუყოფს.

გადასახადები

მხარი დავუჭირეთ დადგენილების პროექტს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" .

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადების შემოღება თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის, ან/და ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეობების მიხედვით ამავე კოდექსით დადგენილი ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ზღვრული განაკვეთების ფარგლებში.

პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ხდება ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული საქალაქო ტრანსპორტისა და საქმიანობისათვის სპორტის დარგში მომსახურე აგენტებისათვის (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის - სეკ 006 2016, ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესაბამისად) განსხვავებული, შეღავათიანი განაკვეთის დადგენა. შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა საჭიროებს მოცულობით განახლებით

სარეაბილიტაციო სამუშაოებს და შესაბამისად მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს, რომლის უდიდეს ნაწილს სუბსიდირების სახით გამოყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი. მწირი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს. საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეფერხებელი ფუნქციონირებისთვის საჭიროა გადასახადის დაბალი განაკვეთის დადგენას. აღნიშნული დავალიანების დაფარვა შეუძლებელია, რადგან ეს დარგები არაა მომგებიანი და შესაბამისად მოითხოვს გადასახადის დაბალი განაკვეთის დადგენას.

ქონება

2021 წლის დეკემბრიდან დღემდე კომისიის მიერ შესწავლილია სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან შემოსული 287 პროექტი.

საცხოვრებელი ფართების დაკანონება.

ქალაქის მერისა და თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ვაგრძელებთ საცხოვრებელი ფართების დაკანონებას იმ მოსახლეობისთვის, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობენ დაკავებულ ფართებში და ამ პერიოდში არ ქონდათ შესაძლებლობა შეეცვალათ საცხოვრებელი პირობები.

განვიხილეთ ქალაქ თბილისში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების განკარგულების პროექტები.

დაახლოებით 343-მდე ოჯახს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ უძრავი ქონებით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცათ შესაბამისი ქონება (საცხოვრებელი ფართი, საერთო ჯამში დაახლოებით 16856,58 კვმ).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა, რაც კომისიის მიერ იქნა შესწავლილი არის შემდეგი: **კოოპერატიული და დაუსრულებელი ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დასახმარებლად მიღებული გადაწყვეტილებები.**

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

მ.შ პროექტები :

- „ქ. თბილისში, დიდი დიღმის მე-2 მიკრორაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.10.06.002.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3351 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ნიკე გრუპისათვის“ (ს.ნ: 405385578) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ.“

(დაკმაყოფილდა 36 ოჯახი)

- „ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, კვაჭანტირაძის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.17.10.001.186 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2371 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „მს ბილდერისთვის“ (ს.ნ: 405427765) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“

(დაკმაყოფილდა 11 ოჯახი)

- „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, III და IV მიკრორაიონებს შორის N01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 19000 კვ. მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის“ (ს/ნ:245599990), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“

(დაკმაყოფილდა 119 ოჯახი)

- ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრორაიონის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.14.01.001.423 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 17173 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არეა დეველოპმენტისთვის“ (ს.ნ: 405476872) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“

(დაკმაყოფილდა72 ოჯახი.)

მსგავსი პროექტებით საერთო ჯამში დაკმაყოფილდა 341 ოჯახი და გადაეცათ საერთო ჯამში 55 867 კვმ მიწის ნაკვეთი.

ქალაქ თბილისში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაცემის პროექტები. (ჯამში 33 პროექტი)

მნიშვნელოვანი თემა რაც კომისიამ განიხილა:

- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე.
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიად აღიარებული ახალი კორონა ვირუსის -„COVID 19“-ის გავრცელებისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი ეკონომიკური გამოწვევების გათვალისწინებით,პანდემიაზე შესაბამისი რეაგირებისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარება-ხელშეწყობის მიზნით, გამოცემულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებები, რომელთა შესაბამისად ხელშემწყობი ღონისძიებები გავრცელდა ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ და შესაბამისი მოიჯარეებისთვის 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისთვის შემცირდა საიჯარო ქირა და განისაზღვრა 0 (ნული) ლარის ოდენობით. ამასთან, მოიჯარეები გათავისუფლდნენ 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრამდე პერიოდზე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან, ხოლო მოგვიანებით გართულებული ეპიდვითარების გამო, ქალაქ თბილისის მთავრობისა და საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, ზემოხსენებული ხელშემწყობი ღონისძიებები გაგრძელდა 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდზე.

ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, განვიხილეთ და მხარი დავუჭირეთ, ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების ვადის გაგრძელებას 2021 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე.

კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა განკარგულების პროექტებს:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და კომპანიებს შორის გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

- თვითმმართველის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე ხელშეკრულებაში ცვლილებების/პირგასამტეხლოსაგან განთავისუფლების შესახებ.
- იმ ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მონაცვლეობას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში (მიწის ნაკვეთები), რომელთაც ახალი გენერალური გეგმის შესაბამისად შეეცვლათ ზონალური სტატუსი და შეეზღუდათ მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება.
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით შესასყიდი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრისათვის“ გადასაცემი საცხოვრებელი ბინის შესყიდვა განხორციელდება შემდეგი პირობებით: საცხოვრებელი ბინის მთლიანი ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი საცხოვრებელი ბინის საბაზრო ღირებულებას 10%-ზე მეტს. საცხოვრებელი ბინის 1 კვ.მ.-ის ღირებულება, არ უნდა აღემატებოდეს 750 (შვიდას ორმოცდაათი) აშშ დოლარს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ საცხოვრებელი ბინა უნდა იყოს საცხოვრებლად ვარგისი და არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიაში მუშაობა.

მნიშვნელოვანი საკითხები, რაც კომისიის სხდომაზე განვიხილეთ: ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების და სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დადგენილების პროექტებია.

გარდა არსებულისა წარმოდგენილი პროექტებით არსებული პროგრამების განხორციელების წესებს დაემატა ახალი „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი, რომელიც განსაზღვრავს „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამეტებით დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების პირობებს. ქვეპროგრამით გათვალისწინებული ვაუჩერის წლიური ლიმიტი შეადგენს 500 ლარს, რომლის გამოყენება შესაძლებელია მრავალჯერადად, ლიმიტის ამოწურვამდე, კალენდარული წლის განმავლობაში.

გარდა ამისა შევისწავლეთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც გამგეობის უფლებამოსილების ფარგლებში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხის ოდენობის 500 ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს.

მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლობის მიერ გაწეული საქმიანობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლობის ოფისის მისამართი - ცოტნე დადიანის N193.

წარმომადგენლობამ ორგანიზება გაუწია მოქალაქეებთან ყოველკვირეულ შეხვედრებს, სადაც პირადად ვეცნობოდით მათ საჭიროებებს. აღნიშნული მიღების ფარგლებში, პირადად შევხვდი ნაძალადევის რაიონში მცხოვრებ 700-მდე მოქალაქეს. საანგარიშო პერიოდში წარმომადგენლობამ 500-ზე მეტი სხვადასხვა თემატიკის პრობლემა განიხილა. ინფრასტრუქტურული, სატრანსპორტო, იურიდიული და სოციალური საკითხების მოგვარების მიზნით აქტიურად ვთანამშრომლობთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის საქალაქო სამსახურებთან და ნაძალადევის რაიონის გამგეობასთან.

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

წარმომადგენლობა, თავისი კომპეტენციისა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს იმ მოქალაქეთა მხარდაჭერას, რომლებიც სამედიცინო საჭიროებების მოგვარების მიზნით მოგვმართავენ, რისთვისაც კოორდინირებულად მუშაობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის გამგეობასთან და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან, ასევე, სხვადასხვა კერძო ორგანიზაციებსა თუ ამ სფეროს სპეციალისტებთან.

საანგარიშო პერიოდში წარმომადგენლობამ დააყენა 100-ზე მეტი შუამდგომლობა სამედიცინო გამოკვლევასთან, მედიკამენტოზურ და ოპერაციულ მკურნალობასთან დაკავშირებით, ასევე, 200-ზე მეტი შუამდგომლობა მიზნობრივ ფულად დახმარებასთან დაკავშირებით, რომელთა უმრავლესობა დაკმაყოფილებულია. სოციალური სტატუსის მინიჭების, აღდგენის ან

სოციალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სერვისების მიღების თხოვნით, წარმომადგენლობაში მოსულ ათობით მოქალაქეს გაეწია კონსულტაცია. აღნიშნული საკითხების მოგვარების მიზნით აქტიურად ვთანამშრომლობთ გლდანი-ნაძალადევის რაიონის სოციალური მომსახურების სააგენტოსთან.

ირაკლი ხელაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი